

შპს „ფრეშ ეარი“

2020 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს "ფრეშ ეარი"				
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
ერთეული: 1 GEL				
საანგარიშგებო თარიღი				
	31.12.2020	31.12.2019	01.01.2019	შენიშვნა
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	1314808	718534	457806	3.1
სავაჭრო მოთხოვნები	547897	342954	341843	
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	49807	25368	33593	
მარაგები	149090	96531	113258	3.2
მ.შ. - მზა პროდუქცია				
- სხვა მარაგი	149090	96531	113258	
საინვესტიციო ქონება				
სხვა მიმდინარე აქტივები	4416	90346	66675	3.3
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები	445	530	614	
ძირითადი საშუალებები	81789	116762	158392	3.4
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	2148252	1391025	1172181	
ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის (ლიზინგის) ვალდებულება				
სავაჭრო ვალდებულებები	95754	74061	51307	
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	5161	21385		3.5
საგადასახადო ვალდებულებები	20398	28543	49819	
გამოუმუშავებელი შემოსავალი და მიღებული ავანსები	166226	203885		
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები				
მიღებული გრანტებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები			230200	
სულ ვალდებულებები	287539	327874	331326	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)				
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	1860713	1063151	840855	
გადაფასების რეზერვი				
სხვა რეზერვები				
მ.შ. - არამაკონტროლებელი წილი				
სულ საკუთარი კაპიტალი	1860713	1063151	840855	3.9
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2148252	1391025	1172181	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 28.09.2021 წ.				
დირექტორი: _____ ზურაბ ზურაბაშვილი				
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.				

შპს "ფრეშ ეარი"			
საქმიანობის შედეგები			
		ერთეული: 1 GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2020	2019	
ნეტო ამონაგები	2889566	2825799	3.6
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	33961	677	
- მომსახურების გაწევიდან	2855605	2825122	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-1170810	-1426984	3.6
საერთო მოგება	1718756	1398815	
სხვა საოპერაციო შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება	-835380	-834073	
ცვეთა და ამორტიზაცია	-41268	-51542	
საპროცენტო შემოსავალი			
საპროცენტო ხარჯი			
იჯარის ხარჯი	-11597	-19553	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-124495	-170563	3.7
სულ საოპერაციო ხარჯები	-1012740	-1075731	
საოპერაციო მოგება	706016	323084	
გაუფასურების ხარჯი/ რევერსირება			
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან	87803	7140	
მიღებული დივიდენდები		2030	
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი	16769	5711	3.8
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაც	810588	337965	
მოგების გადასახადის ხარჯი	-4573	-17350	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ ზარალი	806015	320615	
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი (მ.შ. ბიოლ.			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	806015	320615	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1063151	840855	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-25916	-98319	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	17463		
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1860713	1063151	3.9
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 28.09.2021 წ.			
დირექტორი: _____ ზურაბ ზურაბაშვილი			
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.			

შპს "ფრეშ ეარი"		
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება		
	ერთეული:1 GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი	
	2020	2019
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	531961	354299
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-6279	-8774
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-24620	-93400
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	501062	252125
სავალუტო კურსის ეფექტი	95212	8603
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	718534	457806
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	1314808	718534
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 28.09.2021 წ.		
დირექტორი: _____	ზურაბ ზურაბაშვილი	
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.		

2020 წლის ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „ფრემ ეარი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2012 წლის 27 ივნისს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 404949623, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, მიცკევიჩის ქ. N 29-29ა. ფაქტობრივი მისამართი ემთხვევა იურიდიულ მისამართს. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის 70%-იანი წილის მფლობელია ზურაბ ზურაბაშვილი (პ/ნ 01024017561). კომპანიის 30%-იანი წილის მფლობელია გიორგი ზურაბაშვილი (პ/ნ 01011037792).

1.3. კომპანიის დირექტორია ზურაბ ზურაბაშვილი (პ/ნ 01024017561).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა სარემონტო-სამშენებლო მომსახურება, კერძოდ გათბობა-კონდიციონირება-წყალმომარაგების სამუშაოები. კომპანია სამუშაოებს ახორციელებს ლოკაციის 5 ადგილიდან, რომლიდანაც ოთხი არის ქ. თბილისში, ერთი - ზუგდიდში

1.5. კომპანიას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.6. კომპანიას დაქირავებულ თანამშრომელთა რიცხვი 2020 წელს შეადგენდა 45 კაცს. ბუღალტრულ აღრიცხვას ხელშეკრულების საფუძველზე აწარმოებს მომსახურე აუდიტური ფირმა.

1.7. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელოს, რომ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება 3 წელზე უფრო ნაკლებ ვადაში.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება (გარდა მცირევადიანი ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისა) ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის)

ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდი ფასი, შემცირებული იმ მოსალოდნელი დანახარჯების ოდენობით, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

მანქანა-დანადგარები - 5 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 4 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 5 წელი;

იჯარით აღებული ფართის კაპიტალური რემონტი - 6-7 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად,

2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისის შემთხვევებისა).

2017-2020 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8677 ლარი; 1 EUR=3.2095 ლარი.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.2766 ლარი; 1 EUR=4.0233 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2020 წელს: 1 USD=3.0937 ლარი; 1 EUR=3.5395 ლარი.

2019 წელს: 1 USD=2.8192 ლარი; 1 EUR=3.1553 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2019 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში	6710	1	
ლარი საბანკო ანგარიშებზე	114210	52771	17354
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	1179576	583493	434278
ევრო საბანკო ანგარიშებზე	14265	82262	6170
ინგლისური ფუნტი	45	7	0
სულ:	1314806	718534	451632

3.2. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 01.12.2019 მდგომარეობით
გასაყიდი საქონელი	143427	93320	117013
საწვავ-საცხები მასალები	803	1008	1338
სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	4860	2203	1207
სულ:	149090	96531	113258

სხვა მატერიალური ფასეულობები შედგება სარემონტო მასალებისაგან და სარეკლამო დანიშნულების საქონლისაგან.

3.3. მიმდინარე აქტივები

სხვა მიმდინარე აქტივები მოიცავს წინსწრებით გადახდილ გადასახადებს, მათ შორის, მიღებული ავანსების გამო დარიცხული, შემდგომში აღსადგენი დამატებული ღირებულების გადასახადის თანხებისაგან.

3.4. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	2020 წელი ზრდა ან შემცირება	2020 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
კომპიუტერები და აღჭურვილობა	7186	5872	1911	3225
ავეჯი და სხვა ინვენტარი	216	0	62	278
სხვა	4879	406	2045	6518
ხელსაწყოები	1228	0	960	2188
მანქანა დანადგარები	323		223	546
სატრანსპორტო საშუალებები	67957		36050	104007
სულ:	81789	6278	41251	116762

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2019 წლის ბოლოს - 157286 ლარი; 2020 წლის ბოლოს -198527 ლარი;

3.5. ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ

ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ შედგება სავალდებულო საპენსიო დაზღვევის შენატანების დანარიცხებისგან.

3.6. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2020 წელს კომპანიის ნეტო-ამონაგები ძირითადად შედგება სარემონტო-სამშენებლო მომსახურებით (გათბობა, კონდიციონირება, წყალმომარაგების სამუშაოები) მიღებული შემოსავლებიდან - **2855605** ლარი. ხოლო სარემონტო-სამშენებლო მასალების გაყიდვიდან - **33961** ლარი. ამ მომსახურების გაწევაზე (სამუშაოების შესრულებაზე) გახარჯული სარემონტო-სამშენებლო მასალების თვითღირებულებაა - **1152644** ლარი, ხოლო გაყიდული მასალების თვითღირებულება შეადგენს **18166** ლარს, რომელიც დათვლილია საშუალო შეწონილი ფასების მეთოდის გამოყენებით. მიღებული შეკვეთების შესრულებამდე, გამოყენების პროცესში არსებული მასალები აღრიცხულია როგორც მარაგი.

	2020 წელი	2019წელი
გაწეულ მომსახურებაზე გახარჯული მასალების თვითღირებულება	1152644	1426397
მასალების რეალიზაცია თვითღირებულება	18167	587
სულ:	1170811	1426984

3.7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020 წელი
საკონსულტაციო ხარჯები	13538
ქონების გადასახადის და სხვა საგადასახადო ხარჯები	973
ავტოტრანსპორტის საექსპლუატაციო ხარჯები და რემონტი	7594
დაზღვევის ხარჯი	6632
მივლინების ხარჯი	1690
სოციალური დანარიცხები	8880
საკომუნიკაციო ხარჯები	3354
სხვა საოპერაციო ხარჯი	4342
საბანკო ხარჯები	26671
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	50821
სულ:	124495

3.8. სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი:

	31.12.2020 მდგომარეობით
არასაოპერაციო შემოსავლები	9819
პანდემიასთან დაკავშირებული არასაოპერაციო შემოსავალი	25092
სხვა ფინანსური ხარჯი	-14320
საგადასახადო ჯარიმა საურავები	-3227
სხვაჯარიმები და პირგასამტეხლოები	-415
სულ:	16949

3.9. საკუთარი კაპიტალი:

კომპანიის წესდებით განსაზღვრული კაპიტალი 0 ლარია, რაც დასაშვებია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით. შესაბამისად, კომპანიის საკუთარი კაპიტალი მთლიანად შედგება დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებისაგან.

	ნაშთი 31.12.220 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
წესდებით დადგენილი კაპიტალი	0	0
გაუნაწილებელი მოგება	1860713	1063151
სულ:	1860713	1063151

2020 წლის მოგებიდან განაწილება არ მომხდარა. შესაბამისად, კომპანიის გაუნაწილებელი მოგების ნაშთი 2020 წლის ბოლოს შედგება 2018 (ნაწილობრივ) და 2019-2020 წელს მიღებული მოგების თანხებისაგან, რომელთა განაწილების შესახებ გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული.

3.10. სასამართლო დავები:

კომპანიას 2020 წლის განმავლობაში სასამართლო დავები არ ჰქონია.

3.11. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

2020 წელს, კომპანიას არ ჰქონია დაკავშირებულ მხარეებთან (დამფუძნებლები, დირექტორი) ისეთი ოპერაციები, რომლებზეც გავლენას იქონიებდა მხარეთა შორის არსებული ურთიერთობები.

3.12. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაქვეყნებლად ნებადართულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 28 სექტემბერს.

2020-2021 წლებში ადგილი ჰქონდა შემდეგ მნიშვნელოვან მოვლენას: მსოფლიო მასშტაბით, გავრცელდა ახალი კორონავირუსი COVID-19, რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 2020 წლის 11 მარტს, გამოცხადებულ იქნა პანდემიად. ეს ვითარება გაგრძელდა 2021 წელსაც. 2020 წლის ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისათვის, პანდემია დამარცხებული არ არის.

შექმნილი სიტუაციის მიუხედავად, კომპანიას არსებითი სახის ფინანსური სირთულეები არ შექმნია და კომპანია უწყვეტ და ჩვეულებრივ რეჟიმში აგრძელებდა ფუნქციონირებას.

2021 წლის 1 იანვრიდან 28 სექტემბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში სხვა საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

3.14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2021 წლის 28 სექტემბერს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

შპს "ფრეშ ეარი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	31.12.2020	31.12.2019	01.01.2019	
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	1314808	718534	457806	3.1
სავაჭრო მოთხოვნები	547897	342954	341843	
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	49807	25368	33593	
მარაგები	149090	96531	113258	3.2
მ.შ. - მზა პროდუქცია				
- სხვა მარაგი	149090	96531	113258	
საინვესტიციო ქონება				
სხვა მიმდინარე აქტივები	4416	90346	66675	3.3
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები	445	530	614	
ძირითადი საშუალებები	81789	116762	158392	3.4
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	2148252	1391025	1172181	
ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის (ლიზინგის) ვალდებულება				
სავაჭრო ვალდებულებები	95754	74061	51307	
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	5161	21385		3.5
საგადასახადო ვალდებულებები	20398	28543	49819	
გამოუმუშავებელი შემოსავალი და მიღებული ავანსები	166226	203885		
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები				
მიღებული გრანტებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები			230200	
სულ ვალდებულებები	287539	327874	331326	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)				
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	1860713	1063151	840855	
გადაფასების რეზერვი				
სხვა რეზერვები				
მ.შ. - არამაკონტროლებელი წილი				
სულ საკუთარი კაპიტალი	1860713	1063151	840855	3.9
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2148252	1391025	1172181	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 28.09.2021 წ.

დირექტორი:



ზურაბ ზურაბაშვილი

თანხლები განმარტებითი მენიშნებით არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "ფრეშ ეარი"

საქმიანობის შედეგები

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2020	2019	
ნეტო ამონაგები	2889566	2825799	3.6
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	33961	677	
- მომსახურების გაწევიდან	2855605	2825122	
- სამშენებლო ხელშეკრულებიდან			
- სხვა ამონაგები			
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-1170810	-1426984	3.6
საერთო მოგება	1718756	1398815	
სხვა საოპერაციო შემოსავალი			3.7
დასაქმებულთა ანაზღაურება	-835380	-834073	
ცვეთა და ამორტიზაცია	-41268	-51542	
საპროცენტო შემოსავალი			
საპროცენტო ხარჯი			
იჯარის ხარჯი	-11597	-19553	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-124495	-170563	
სულ საოპერაციო ხარჯები	-1012740	-1075731	
საოპერაციო მოგება	706016	323084	
გაუფასურების ხარჯი/ რევერსირება			3.8
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან	87803	7140	
მიღებული დივიდენდები		2030	
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი	16769	5711	
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	810588	337965	
მოგების გადასახადის ხარჯი	-4573	-17350	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ ზარალი	806015	320615	
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი			3.9
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი (მ.შ. ბიოლ. აქტივების)			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი, სულ:	806015	320615	
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1063151	840855	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მისაღებობაზე (მათ შორის დივიდენდი)	-25916	-98319	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	17463		
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1860713	1063151	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაცემისათვის 28.09.2021 წ.

დირექტორი:

ზურაბ ზურაბაშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "ფრეშ ეარი"

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2020	2019
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	531961	354299
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-6279	-8774
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-24620	-93400
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	501062	252125
სავალუტო კურსის ეფექტი	95212	8603
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	718534	457806
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	1314808	718534

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 28.09.2021 წ.

დირექტორი



ზურაბ ზურაბაშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.